ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 25 ივლისი, 2012 წ.

ვადასტურებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ 2012 წლის 11 ივლისს გამოცხადებულ, N581 კონკურსის საშუალებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით ლეკვეიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. არჩილ ვანაძე

2. ვლადიმერ ხინთიბიძე

3. პაატა აცინბა

საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №10-2

ქ. ბათუმი, **25 ივლისი, 2012 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

დავით ლეკვეიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

პაატა აცინბა - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ.

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2012 წლის 11 ივლისს გამოცხადებული N581 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა პაატა აცინბამ კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღება იწყებოდა 2012 წლის 13 ივლისს და მთავრდებოდა 2012 წლის 20 ივლისს 17^{00} საათზე. 2012 წლის 20 ივლისს 14^{45} საათზე საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოადგინა ერთმა პრეტენდენტმა: ინდ. მეწარმე „გიორგი კობალაძემ".

დალუქული პაკეტი საკონკურსო კომისიის მიერ გაიხსნა 2012 წლის 25 ივლისს, 15^{30} საათზე. ინდ. მეწარმე „გიორგი კობალაძეს" საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის გადახდილი აქვს საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და საფასურის გადახდის დამადას-

ტურებელი დოკუმენტი ითვალისწინებს საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთაღნიშნული პირობა შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან, საკონკურსო კომისიამ განიხილა ინდ. მეწარმე „გიორგი კობალაძეს“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. განხილვისას აღმოჩნდა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს საკონკურსო წინადადების ფასი - 3000(სამი ათასი) ლარი, განმარტებითი ბარათი, ტექნიკური დავალება, ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ, კონკურსანტი პირის რეკვიზიტები. არასრულად აქვს წარმოდგენილი ხელშეკრულების აუცილებელი პირობები. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია გამოცდილების შესახებ ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტის „ა“ (უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში 2010, 2011წ. უწყვეტად და 2012 წლის 1 ივლისამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის: შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას. კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს მის მიერ მხოლოდ 2011 წელს შესრულებული მომსახურების შესახებ.

აქედან გამომდინარე, ინდ. მეწარმე „გიორგი კობალაძე“ ექვემდებარება დისკვალიფიკაციას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსში (N581), ხოლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსი N581 ჩაითვალოს უარყოფითად დასრულებულად და მიენიჭოს სტატუსი - „კონკურსი დამთავრებულია უარყოფითი შედეგით.“

კომისიამ დაადგინა:

1. ინდ. მეწარმე „გიორგი კობალაძეს“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანდართული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

2. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საუკეთესო საკონკურსო დოკუმენტაციის გამოვლენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2012 წლის 11 ივლისს გამოცხადებულ კონკურსს (კონკურსი N581) მიენიჭოს სტატუსი - დასრულებულია უარყოფითი შედეგით;

3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს ინდ. მეწარმე „გიორგი კობალაძეს“;

4. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 25 ივლისისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით ლეკვეიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

არჩილ ვანაძე

ვლადიმერ ხინთიბიძე

პაატა აცინბა

ქალაქ ბათუმის მერი

THE MAYOR OF BATUMI

№25-04/3247 „25" „07" 2012 წ.

ინდივიდუალურ მეწარმეს
ბატონ გ. კობალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის საკონკურსო კომისიამ განიხილა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე კონკურსში (N581) თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

რამდენადაც, თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, კერძოდ, ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ, ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თქვენ დისკვალიფიცირებული ხართ ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე კონკურსში (N581).

დამატებით გაცნობებთ, რომ წინამდებარე შეტყობინება გამოგზავნილი იქნება თქვენს მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არაუგვიანეს 2012 წლის 25 ივლისისა.

პატივისცემით,

ქ. ბათუმის მერი **რობერტ ჩხაიძე**

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge